საქართველოს ეკონომიკის
განვითარების კორპორაცია

ვორქშოფის სილაბუსი

ISO 9001 მცირე და საშუალო ბიზნესისთვის

BDO Academy

BDO

სასწავლო კურსის მიზნები

მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) მენეჯერებსა და დამფუძნებლებს პრაქტიკულ ჭრილში გააცნოს ISO 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნები, რათა მათ შეძლონ ხარისხის მენეჯმენტის ეფექტიანი სისტემის დანერგვა, საოპერაციო რისკების ოპტიმიზაცია და ორგანიზაციის მომზადება საერთაშორისო სერტიფიცირებისთვის.

კურსის ხანგძლივობა

3 საათი და 15 წუთი
(1 შეხვედრა)

ვისთვის არის განკუთვნილი

მცირე და საშუალო ბიზნესის დამფუძნებლებისთვის, დირექტორებისთვის და მენეჯერებისთვის, ვისაც სურს კომპანიაში პროცესების მოწესრიგება, ხარჯების შემცირება და ახალ ბაზრებზე გასვლა.

რატომ და როდის უნდა დანერგოს მცირე ბიზნესმა ISO 9001

ეს სტანდარტი თქვენთვისაა, თუ ბიზნესში აწყდებით შემდეგ პრობლემებს:

- ქაოსი ყოველდღიურ ბიზნეს ოპერაციებში და თანამშრომლებს შორის გადანაწილებულ მოვალეობებში.
- კლიენტების უკმაყოფილება ან მომსახურების/პროდუქტის ხარისხის ცვალებადობა.
- „ხანძრების ჩაქრობის“ რეჟიმში მუშაობა ნაცვლად ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებისა.
- გსურთ საერთაშორისო ტენდერებში მონაწილეობა, მსხვილ ქსელებში ან ექსპორტზე გასვლა, სადაც ISO სერტიფიკატი სავალდებულო მოთხოვნაა.

სასწავლო კურსის შინაარსი

მოდული I: ბიზნესის სტაბილურობის საფუძვლები (10:00 – 11:30)

- რა არის ISO 9001 და როგორ ეხმარება ის მცირე ბიზნესს კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში.
- ხარისხის მართვის 7 ოქროს პრინციპი, რომელიც ცვლის კომპანიის მუშაობის კულტურას.
- PDCA (დაგეგმე - გააკეთე - შეამოწმე - იმოქმედე) ციკლი: მარტივი მოდელი ბიზნეს-პროცესების მუდმივი გაუმჯობესებისთვის.
- მიმოხილვა: როგორ უკავშირდება ერთმანეთს ეკოლოგიის (ISO 14001), შრომის უსაფრთხოების (ISO 45001) და სხვა სტანდარტები ერთიან სისტემაში.
- რეალური ქეისების განხილვა: ქართული მცირე საწარმოებისა და სერვის-კომპანიების წარმატებული მაგალითები, რომლებმაც ISO-ს დანერგვით გაზარდეს გაყიდვები.

შესვენება (11:30 – 12:00)

მოდული II: ბიზნეს გარემო და რისკების დაზღვევა (12:00 - 13:00)

- ბიზნესის რეალური გარემოს შეფასება: ვინ ახდენს გავლენას თქვენს ბიზნესზე (მომხმარებლები, მომწოდებლები, რეგულატორები).
- ლიდერის როლი: როგორ დასახოთ ხარისხის ისეთი მიზნები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია თქვენს შემოსავლებთან.
- რისკებზე დაფუძნებული აზროვნება: პრობლემების წინასწარი იდენტიფიკაცია და მათი თავიდან აცილება.
- პრაქტიკული სავარჯიშო 1: ბიზნეს-გარემოს და პარტნიორების ანალიზი საკუთარი კომპანიის მაგალითზე
- პრაქტიკული სავარჯიშო 2: კომპანიის რისკების იდენტიფიცირება და მართვა

შესვენება (13:00 – 13:15)

მოდული III : ყოველდღიური კონტროლი, ხარვეზების მართვა და სერტიფიცირება (13:15 – 14:15)

- ყოველდღიური პროცესების კონტროლი და საიმედო მომწოდებლების შერჩევის კრიტერიუმები.
- როგორ შევამოწმოთ საკუთარი ბიზნესი (შიდა აუდიტი) და დავინახოთ ნაკლოვანებები მანამ, სანამ მათ მომხმარებელი შეამჩნევს.

- ISO სერტიფიკატის აღების ეტაპები, რეალური ვადები და თანხები, რაც მცირე ბიზნესმა უნდა გაითვალისწინოს.
- ყველაზე გავრცელებული შეცდომები დანერგვისას (როგორ ავიცილოთ თავიდან ზედმეტი ბიუროკრატია და ფურცლომანია).

პრაქტიკული სავარჯიშო 3: ბიზნესში ხშირად დაშვებული შეცდომების ანალიზი და მათი სისტემური მოგვარება

სასწავლო კურსის სწავლების შედეგები

კურსის დასრულების შემდეგ თქვენ შეძლებთ:

- ზუსტად განსაზღვროთ, მზად არის თუ არა თქვენი კომპანია ISO 9001-ის დასანერგად და რა კონკრეტულ ფინანსურ სარგებელს მოგიტანთ იგი.
- დამოუკიდებლად დაინახოთ თქვენი ბიზნესის რისკები და მართოთ ისინი გამართული სისტემით.
- ნათლად გაწეროთ სერტიფიცირებისთვის საჭირო ნაბიჯები და სწორად დაგეგმოთ ბიუჯეტი.

სასწავლო კურსის შეფასება

სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი: